განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და ეს განსაკუთრებით 2019 წელს გამოჩნდა. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა - 5.1%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა 3.3 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა - 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა 1.5 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%) შეადგინა. აღნიშნულის შედეგად ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და მშპ-ის 5.1% შეადგინა. მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდისა და საგარეო სექტორის მონაცემების გაუმჯობესებამ განაპირობა საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილზე მეტად ზრდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ კაპიტალურ ინვესტიციებს გადაეჭარბებინა მშპ-ის 8%-სთვის და ამავე დროს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული) დაგეგმილი 2.7%-დან შეგვემცირებინა 2%-მდე.

2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. 2020 წლის აპრილში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) განახლებულ „მსოფლიო ეკონომიკურ მიმოხილვაში“ 2020 წლის მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განსაზღვრა -3.0 პროცენტით, თუმცა იქვე იყო ნახსენები, რომ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული გაურკვევლობიდან გამომდინარე წლის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე მოხდებოდა პროგნოზების გადახედვა. სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებით შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის შემცირებამ -5 პროცენტსაც მიაღწიოს.

ზემოაღნიშნულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტირებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მარტის დასაწყისიდანვე დაიწყო მუშაობა ერთის მხრივ ბიუჯეტის არსებული პროგრამების შემცირებაზე და მეორეს მხრივ საერთაშორისო პარტნიორებისგან დამატებითი რესურსების მობილიზებაზე.

პირველ ეტაპზე აქტიური კონსულტაციები დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელთანაც განიხილებოდა პანდემიისგან მოსალოდნელი ეკონომიკური შოკის სხვადასხვა სცენარები. როგორც ჩვენი, ისე ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკაში არსებული

ტენდენციების ანალიზის შემდგომ, მოსალოდნელი დანაკლისებისა და საჭირო დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით სავალუტო ფონდთან ერთად ჩამოყალიბდა ის საბაზისო პარამეტრები, რომელზეც უნდა დაფუძნებულიყო ბიუჯეტი ცვლილებების განხორციელების შემდგომ.

ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ წარმატებით დასრულდა მე-6 მიმოხილვა, რაც საქართველოს მდგრადი ფისკალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია, როგორც სხვა დონორებთან ურთიერთობისას, ისე ინვესტორთათვის.

გასულ წლებში არსებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფისკალური დისციპლინა, სავალუტო ფონდთან არსებულ წარმატებულ პროგრამასთან ერთად იყო ის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა უმოკლეს დროში საერთაშორისო ინსტიტუტებთან მიგვეღწია შეთანხმება საქართველოსთვის დამატებით 1,5 მლრდ აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული ჩარჩო ითვალისწინებს რელური მშპ-ს შემცირებას 4,0 პროცენტით, შემოსავლების დანაკლისს 1,7 მლრდ ლარზე მეტით, არსებულ ბიუჯეტში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირებას 600.0 მლნ ლარამდე ოდენობით და საქართველოს მთავრობის ანტრიკიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსის მოძიებას 3,4 მლრდ ლარამდე. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, მიმდინარე წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 8.5%-ით განისაზღვრება.

არსებული პროგნოზების მიხედვით, ეკონომიკური ზრდის აღდგენა 2021 წლიდან დაიწყება და მშპ-ს რეალური ზრდა 4%-ს, ხოლო 2022 წლისთვის 6,0%-ს მიაღწევს.

წარმოქმნილი დეფიციტის ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით, მიმდინარე წლის მარტიდან მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. წარმოდგენილი ცვლილებით მაქსიმალურად მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები, წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები, სპეციალიზებული დაწესებულებების გარდა მნიშვნელოვნად მცირდება საწვავის ხარჯები, მაქსიმალურად შეიზღუდება ვაკანსიების შევსება და საპრემიო რესურსი. მიმდინარე ხარჯების ნაწილში ადმინისტრაციულ ხარჯებთან ერთად მცირდება ყველა ის პროგრამა, რომელთა არგანხორციელება ან/და დროში გადაწევა მნიშვნელოვნად არ დააზიანებს შესაბამის სექტორს, მათ შორის ბუნებრივი ფაქტორების (პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები) გათვალისწინებით იზღუდება კულტურული, სპორტული და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე, გადაიხედა 2020 წლისათვის განათლების რეფორმის ზოგიერთი მიმართულება. კაპიტალური პროექტების ნაწილში შემცირება ძირითადად ეხება ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ასევე იმ პროექტებს, სადაც იმპორტის წილი განსაკუთრებით მაღალია. შედეგად ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად მცირდება დაახლოებით 600.0 მლნ ლარის ოდენობით.

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე, ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის. აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო ხარჯებმა შეადგინა დაახლოებით 3,4 მლრდ ლარამდე, კერძოდ ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად ბიუჯეტში ასახულია:

- იმ მოქალაქეების დახმარებისთვის, რომლებიც დაქირავებით დასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიოდნენ და დაკარგეს ხელფასი, 6 თვის განმავლობაში 200 ლარიანი დახმარების გასაწევად გათვალისწინებულია 450,0 მლნ ლარი;
- სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით დაწესებული საშემოსავლო გადასახადის შემცირება - 250,0 მლნ ლარი (ასახულია საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებლებში);
- თვითდასაქმებულთა ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარებებისთვის - 75,0 მლნ ლარი;
- მოსახლეობის კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისთვის - 170,0 მლნ ლარი;
- 65-დან 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების დახმარება (ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად) 6 თვის განმავლობაში - 48,0 მლნ ლარი;
- 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების 100 ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში - 13,0 მლნ ლარამდე;

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ ბავშვების 100 ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში - 24,0 მლნ ლარი;
- StopCoV ფონდის ანგარიშზე მობილიზებული თანხა - 133,5 მლნ ლარი (ასახულია როგორც სხვა შემოსავლების, ისე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მაჩვენებლებში);
- საკარანტინო სივრცეებით მომსახურების ანაზღაურებისა და ფრენების სუბსიდირებისთვის - 45,0 მლნ ლარი;
- ვირუსის გავრცელების პრევენციისა და ჯანდაცვის ხარჯებისთვის - 285,0 მლნ ლარი;
- ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მზადყოფნის გაუმჯობესებისთვის 60,0 მლნ ლარი;
- საკრედიტო-საგარანტიო სქემის დასაფინანსებლად - 330,0 მლნ ლარი;
- სასტუმროების საპროცენტო ხარჯის სუბსიდირებისთვის - 70,0 მლნ ლარი;
- ტურისტული ობიექტების ქონების გადასახადისგან გათავისუფლება - 45,0 მლნ ლარი (ასახულია საგადასახადო შემოსავლებში);
- მცირე გრანტების გასაცემად - 20,0 მლნ ლარი;
- სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა (მათ შორის დევნილთა სახლების გაზრდილი შესყიდვები) – 40,0 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა - 139,0 მლნ ლარი;
- დღგ-ს დამატებით დაბრუნებისთვის - 600,0 მლნ ლარი (ნაწილობრივ დაბრუნდება ამ მიზნებისთვის არსებულ ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, ხოლო ნაწილი ასახულია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლებში);
- კომერციული ბანკებისთვის ლარის გრძელვადიანი ლიკვიდობის შესაქმნელად - 600,0 მლნ ლარი (ასახულია საშინაო ვალისა და დეპოზიტების მაჩვენებლებში);

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრიზისულ ეტაპზე გეგმაზომიერი ღონისძიებების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია საჯარო ფინანსების მართვის არსებული ჩარჩო და საბიუჯეტო სისტემის მოქნილობა. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევებში ფისკალურ ზღვრებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რეგულაციებს. წლიური ბიუჯეტის კანონის დაზუსტების მექანიზმებმა კი ხელი შეუწყო საჭირო რესურსების მობილიზებისათვის ასიგნებების გადანაწილებას, რის შედეგადაც საბიუჯეტო პროცესი შეუფერხებლად ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილებები და მასში აისახოს როგორც განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები, ასევე ის ასიგნებები, რომლებიც აუცილებელია ანტიკრიზისული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შემდგომი დაფინანსებისთვის.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით, შესაბამისად „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლები

განახლებული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უარყოფითია და შეადგენს -4 პროცენტს. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 4,8%-ს, სამომხმარებლო ფასების ინდექსის საშუალო წლიური მაჩვენებელი 4,7%-ს, ხოლო წლის ბოლოსთვის 3,5%-ს შეადგენს.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი შეადგენს 50,3 მლრდ ლარს, ნაცვლად გასული წლის დეკემბრის პროგნოზით არსებული 53,1 მლრდ ლარისა.

ეკონომიკური პარამეტრების გაუარესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად **მცირდება ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები** და განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი.

გასული წლის ნოემბერში (ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს) არსებული პროგნოზის საფუძველზე შემუშავებული 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 12,3 მლრდ ლარს, თუმცა გასულ წელს გადაჭარბებით მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პარამეტრების უცვლელობის პირობებში მოსალოდნელი იყო გეგმის 300,0 მლნ ლარით გადაჭარბებით შესრულება და საგადასახადო შემოსავლების სახით 12,6 მლრდ ლარზე მეტის მობილიზება.

პანდემიის შედეგად გაუარესებული პარამეტრების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები ვალდებულებების ზრდისა და დონორების გრანტების გარეშე (მლნ ლარი)

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	განახლებული პროგნოზი	დანაკლისი	შენიშვნა
გადასახადები	12 305,0	10 760,0	-1 545,0	განახლებულ პროგნოზში გათვალისწინებული არ არის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად დაწესებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათი 250,0 მლნ ლარი
გრანტები	65,0	50,0	-15,0	დონორების დაფინანსების გარდა გრანტებში აისახება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის 35-ე მუხლის შესაბამისად სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები
სხვა შემოსავლები	990,0	853,0	-137,0	განახლებულ პროგნოზში გათვალისწინებული არ არის StopCoV ფონდში მობილიზებული 133,5 მლნ ლარი და დამატებით მობილიზებული რესურსების დეპოზიტებზე განთავსების შედეგად მისაღები 53,5 მლნ ლარი
პრივატიზაცია	230,0	150,0	-80,0	
სესხების დაბრუნება	115,0	75,0	-40,0	
სულ ჯამი	**13 705,0**	**11 888,0**	**-1 817,0**	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეკონომიკური პარამეტრების გაუარესების შედეგად ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება მოსალოდნელია 1,8 მლრდ ლარით.

ზემოაღნიშნულ ცხრილში მოცემული განახლებული პროგნოზები დამატებით კორექტირდება და წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმები შეადგენს:

- საგადასახადო შემოსავლები - 10 510,0 მლნ ლარს, რაც გამომდინარეობს მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესების შედეგად განახლებული პროგნოზის 10 760,0 მლნ ლარს გამოკლებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათი 250,0 მლნ ლარი. აღნიშნული 10 510,0 მლნ ლარიდან სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 8 979,4 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების წილი - 1 530,6 მლნ ლარს, მათ შორის:

    - ✓ 250,0 მლნ ლარი - ავტონომიური რესპუბლიკების კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი;

    - ✓ 880,6 მლნ ლარი - მუნიციპალიტეტების კუთვნილი დღგ;

    - ✓ 400,0 მლნ ლარი - ქონების გადასახადი.

- გრანტები - 613,3 მლნ ლარი, მათ შორის 50,0 მლნ ლარი სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხა და 563,3 მლნ ლარი დონორების მიერ გამოყოფილი გრანტები;

- სხვა შემოსავლები - 1 040,0 მლნ ლარი, მათ შორის StopCoV ფონდში მობილიზებული 133,5 მლნ ლარი და დამატებით მობილიზებული რესურსების დეპოზიტებზე განთავსების შედეგად მისაღები 53,5 მლნ ლარი;

- არაფინანსური აქტივების კლება (პრივატიზაცია) – 150,0 მლნ ლარი;

- ფინანსური აქტივების კლება (სესხების დაბრუნება) – 75,0 მლნ ლარი;

- საშინაო ვალის ზრდა - 1 850,0 მლნ ლარი, მათ შორის 600,0 მლნ ლარი კომერციული ბანკების გრძელვადიანი ლარის ლიკვიდურობის მიზნით გამოშვებული და ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსებული თანხა;

- საგარეო ვალის ზრდა - 6 187,6 მლნ ლარი (საერთაშორისო პარტნიორებიდან დამატებით მოზიდული თანხების ჩათვლით;

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 20,4 მლრდ ლარს, რაც 2,7 მლრდ ლარით აღემატება 2020 წელს ამ ეტაპისთვის არსებულ ხარჯვით საჭიროებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული რათქმაუნდა მოქმედებს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პარამეტრზე, საბიუჯეტო დეფიციტზე, რომლის მაჩვენებელი მშპ-ს 2,5%-დან 8,5%-მდე იზრდება.

დეფიციტის ზრდა რათქმაუნდა პირდაპირ კავშირშია მთავრობის ვალის მოცულობის ზრდასთან. არსებული პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წლის ბოლოსთვის ვალის მოცულობა მიუახლოვდება მშპ-ს 55%-ს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პარტნიორებთან მოლაპარაკებების პროცესში განიხილებოდა ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა პროგნოზები და მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო სცენარად ჩამოყალიბდა რეალური ეკონომიკის შემცირება 4%-ის ოდენობით, თანხების მობილიზება

განხორციელდა იმ მოცულობით, რომ რესურსების დეფიციტი არ შექმნილიყო არც პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში და არც პანდემიის გამო უფრო ხანგრძლივი ეკონომიკური შეზღუდვების შემთხვევაში. შედეგად მოვლენების მიმდინარე განვითარებიდან გამომდინარე ხდება ვალის აღება საბაზისო სცენარში ბიუჯეტის საჭიროებზე მეტი ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში იქნება თავისუფალი ფულადი სახსრები, დაცული იქნება საბიუჯეტო დეფიციტის ის პარამეტრი, რაც პარტნიორებთნ არის შეთანხმებული. შესაბამისად აღნიშნული რესურსი არ მიიმართება დამატებით მიმდინარე ან კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად (გარდა ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა).

აუცილებელია მომდევნო წლებში მთავრობის ვალის ეტაპობრივი შემცირება და მაქსიმალურად მოკლე ვადებში კრიზისამდე არსებულ პარამეტრზე დაბრუნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2021 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდება ვალის აღების მაჩვენებელი და შესაბამისად უკვე მომდევნო წელსვე ნაწილობრივ შემცირდება ვალის მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში.

მომდევნო წლებში საბიუჯეტო დეფიციტის კონტროლის და მისი შემცირების ხარჯზე ყოველწლიურად გაგრძელდება ვალის მოცულობის შემცირება.

პანდემიიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება **ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილშიც**.

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით (2019 წლის დეკემბრის პარამეტრები) პირველადი მიმდინარე ხარჯების (მიმდინარე ხარჯები პროცენტის გარდა) მოცულობა შეადგენდა 10 649,0 მლნ ლარს.

პანდემიის შედეგად შემოსავლების შემცირებისა და დამატებითი საჭიროებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი მცირდება 301,7 მლნ ლარით, თუმცა ამავდროულად ემატება 1 801,7 მლნ ლარი დამატებითი საჭიროების დასაფინანსებლად და პირველადი მიმდინარე ხარჯების მოცულობა განისაზღვრება 12 149,0 მლნ ლარის ოდენობით, კერძოდ.

ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები (პროცენტის გარდა)[1]

/მლნ ლარი/

დასახელება	**პირველადი პროგნოზი**	**შემცირება**	**დამატებით საჭირო თანხები**	**განახლებული პროგნოზი**
შრომის ანაზღაურება	1 896,0	-57,0		1 839,0
საქონელი და მომსახურება	1 772,0	-107,0	195,0	1 860,0
სუბსიდიები	1 031,0	-73,2	559,2	1 517,0
გრანტები	127,0	-5,7	2,7	124,0
სოციალური უზრუნველყოფა	4 556,0	-25,8	1 044,8	5 575,0
სხვა ხარჯები	1 267,0	-33,0		1 234,0
სულ ჯამი	**10 649,0**	**-301,7**	**1 801,7**	**12 149,0**

[1] ნაერთი ბიუჯეტის კონსოლიდირებისას, სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კაპიტალური გრანტებისა და სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერების მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებები აისახება ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტისათვის აღნიშნული ოპერაცია ტრანსფერს წარმოადგენს, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის მიზნებისათვის არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციას.

დამატებით საჭირო 1 801,7 მლნ ლარში გათვალისწინებულია:

- საქონელი და მომსახურებაში 195,0 მლნ ლარი, მათ შორის:
    - ✓ 44,0 მლნ ლარი - საკარანტინო სივრცეების მომსახურების ანაზღაურება;
    - ✓ 151,0 მლნ ლარი - ჯანდაცვის ხარჯების ანაზღაურება (მშ. ტესტები, სადეზინფექციო, პირადი დაცვის საშუალებების და ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსება);
- სუბსიდიები - 559,2 მლნ ლარი, მათ შორის:
    - ✓ საკრედიტო-საგარანტიო სქემის დასაფინანსებლად - 330,0 მლნ ლარი;
    - ✓ სასტუმროების საპროცენტო ხარჯის სუბსიდირებისთვის - 70,0 მლნ ლარი;
    - ✓ მცირე გრანტების გასაცემად - 20,0 მლნ ლარი;
    - ✓ სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა – 20,0 მლნ ლარი;
    - ✓ სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა - 115,0 მლნ ლარი;
    - ✓ ვირუსთან ბრძოლაში ჩართული სახელმწიფო საავადმყოფოების სუბსიდირება - 3,2 მლნ ლარი;
    - ✓ საზღვარგარეთიდან საქართველოს მოქალაქეების მგზავრობის (ფრენების) სუბსიდირება - 1,0 მლნ ლარი;
- სოციალური ხარჯები - 1 044,8 მლნ ლარი, მათ შორის:
    - ✓ 450,0 მლნ ლარი - იმ მოქალაქეების დახმარებისთვის, რომლებიც დაქირავებით დასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიოდნენ და დაკარგეს ხელფასი, 6 თვის განმავლობაში 200 ლარიანი დახმარების გასაწევად;
    - ✓ 75,0 მლნ ლარი - თვითდასაქმებულთა ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარებებისთვის;
    - ✓ 170,0 მლნ ლარი - მოსახლეობის კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისთვის;
    - ✓ 48,0 მლნ ლარი - 65-დან 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების დახმარება (ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად) 6 თვის განმავლობაში;
    - ✓ 13,0 მლნ ლარი - 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების 100 ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში;
    - ✓ 24,0 მლნ ლარი - მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ ბავშვების 100 ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში;
    - ✓ 125,5 მლნ ლარი - პანდემიიდან გამომდინარე ჯანდაცვის დამატებითი ხარჯები (მკურნალობასთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება);
    - ✓ 133,5 მლნ ლარი - StopCoV ფონდის ანგარიშზე მობილიზებული თანხა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად მიიმართება ვირუსის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და მისგან დაზარალებულთა დახმარებისათვის;
    - ✓ 5,8 მლნ ლარი - მაღალმთიანი დასახლებების კანონში პარლამენტში ინიცირებული ცვლილებების შესაბამისად საჭირო დამატებითი ხარჯების დაფინანსება;

- გრანტები - 2,7 მლნ ლარი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების სუბსიდირებისთვის;

ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები განსაზღვრული იყო 3 866,0 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც წარმოქმნილი დეფიციტის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით მცირდება 298,8 მლნ ლარით, თუმცა ამავე დროს პანდემიიდან გამომდინარე დამატებით საჭირო იქნა 108,8 ლარის მობილიზება, მათ შორის:

- 64,8 მლნ ლარი - ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის;
- 20,0 მლნ ლარი - ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სამშენებლო სექტორის დასახმარებლად დევნილებისთვის დამატებითი სახლების შესყიდვა;
- 10,0 მლნ ლარი - ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით ტექნიკისა და სარწყავი სისტემების თანადაფინანსებისათვის;
- 14,0 მლნ ლარი - სასურსათო მარაგების შესყიდვისათვის.

გარდა ამისა, ფაქტიური ათვისებიდან გამომდინარე 10,0 მლნ ლარით იზრდება ენგურის და ვარდნილის ჰიდროელექტრო სადგურების რეაბილიტაციის პროექტის თანხა ((EBRD, EIB, EU), რისი გათვალისწინებითაც განახლებული პროგნოზის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 3 686,0 მლნ ლარს.

ნაერთი ბიუჯეტის ფარგლებში ვალების მომსახურებისა და დაფარვის თანხა იზრდება 56,0 მლნ ლარით და შეადგენს 1 841,0 მლნ ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით **ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მოცულობა ჯამში შეადგენს 17,7 მლრდ ლარს.**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** ჯამური მაჩვენებელი იზრდება 3 866,1 მლნ ლარით და შეადგენს 18 420,3 მლნ ლარს, მათ შორის:

- **შემოსავლები - 10 212.7 მლნ ლარი** (დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შემცირებულია 1 014,2 მლნ ლარით);
    - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 8 979,4 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში შემცირებულია 1 485,6 მლნ ლარით, მათ შორის:
        - ✓ **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 2 990,0 მლნ ლარით (მცირდება 425,0 მლნ ლარით, საიდანაც 230,0 მლნ ლარზე მეტი შემცირება გამოწვეულია საგადასახადო შეღავათის დაწესებით)
        - ✓ **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 840.0 მლნ ლარით (მცირდება 130,0 მლნ ლარის ოდენობით);
        - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 754,4 (მცირდება 643,9 მლნ ლარით);

- ✓ **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 325,0 მლნ ლარის ოდენობით (მცირდება 75,0 მლნ ლარით);
- ✓ **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 70.0 მლნ ლარით (მცირდება 10,0 მლნ ლარით);
- ✓ **სხვა გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი ნულდება (განსაზღვრული იყო 201,7 მლნ ლარი, შემცირება ძირითადად დაკავშირებულია დღგ-ს დამატებით დაბრუნებასთან)

- **სხვა შემოსავლების** პროგნოზი იზრდება 155,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 675.0 მლნ ლარის ოდენობით. ზრდა გამოწვეულია:

  - ✓ StopCoV ფონდში მობილიზებული 133,5 მლნ ლარის ასახვით;
  - ✓ დამატებით მობილიზებული რესურსების დეპოზიტებზე განთავსების შედეგად საპროცენტო შემოსავლების 53,5 მლნ ლარით ზრდით;
  - ✓ ეროვნული ბანკის დივიდენდების 30,0 მლნ ლარით ზრდით;
  - ✓ სხვა შემოსავლების რიგი კატეგორიების (მათ შორის სანებართვო მოსაკრებლების, სანქციების და ჯარიმების და სხვა) 62,0 მლნ ლარით შემცირებით;

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 558,3 მლნ ლარით, მათ შორის:

  - ✓ საბიუჯეტო გრანტების ფარგლებში, პანდემიიდან გამოწვეული დეფიციტის დასაფინანსებლად გამართული წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად იზრდება ევროკავშირისგან მისაღები გრანტი 330,0 მლნ ლარით და შეადგენს 460,0 მლნ ლარს;
  - ✓ საინვესტიციო გრანტები შეადგენს 48,3 მლნ ლარს (იზრდება 1,4 მლნ ლარით);
  - ✓ სსიპ-ების მიერ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად გადმოსარიცხი თანხები შეადგენს 50,0 მლნ ლარს (მცირდება 15,0 მლნ ლარით);

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა, მცირდება 40,0 მლნ ლარით და შეადგენს 90.0 მლნ ლარს**;**

- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება 80.0 მლნ ლარის ოდენობით (მცირდება 50,0 მლნ ლარით);

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრება 8 037,6 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ➢ საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრები იზრდება 650,0 მლნ ლარით და შეადგენს 1 850,0 მლნ ლარს. აღნიშნული ზრდიდან 600,0 მლნ ლარი წარმოადგენს კომერციული ბანკებისთვის გრძლევადიანი ლარის მიწოდების ინსტრუმენტს და მიღებული თანხები სრულად განთავსდება შესაბამისი კომერციული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატებში;
  - ➢ საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი, კაპიტალური ხარჯების შემცირების გათვალისწინებით მცირდება 149,7 მლნ ლარით და შეადგენს 1 032,6 მლნ ლარს;
  - ➢ საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი იზრდება 4 470,0 მლნ ლარით და შეადგენს 5 155,0 მლნ ლარს. აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია პანდემიის შედეგად წარმოქმნილი დეფიციტის დასაფინანსებლად საერთაშორისო პარტნიორებთან შეთანხმებული გეგმის

მიხედვით გამოსაყოფ დამატებით სახსრებთან. დამატებითი თანხების გამოყოფა ხორციელდება შემდეგი ორგანიზაციებიდან:

- ✓ საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) - 603,0 მლნ ლარი;
- ✓ აზიის განვითარების ბანკი (ADB) - 1 455,0 მლნ ლარი;
- ✓ გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) - 885,1 მლნ ლარი;
- ✓ აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) - 450,0 მლნ ლარი;
- ✓ საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) - 439,8 მლნ ლარი;
- ✓ მსოფლიო ბანკი (WB) - 396,1 მლნ ლარი;
- ✓ ევროკავშირი (EU) - 241,0 მლნ ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელწიფო ბიუჯეტის ასიგნებების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 14 432,9 მლნ ლარს. მსოფლიოში ახალი კორონავირუსის გავრცელების შემდგომ, ქვეყნის შიგნით მისი ფართო გავრცელების პრევენციისა და ინფიცირებულთა მკურნალობისთვის, ასევე ეკონომიკური შოკის ზეგავლენების შემცირების და დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის მიზნით აუცილებელი გახდა დამატებითი ასიგნებების მობილიზება. ამავდროულად, მარტის დასაწყისიდან დაიწყო მუშაობა ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შემცირების მიმართულებით, იმისთვის რომ აღნიშნული შემცირებების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე მომხდარიყო დამატებითი ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ასიგნებების მოცულობა ჯამში იზრდება 1 490,9 მლნ ლარით და შეადგენს 15 923,8 მლნ ლარს.

აღსანიშნავია, რომ პანდემიიდან გამომდინარე საჭირო დამატებითი ხარჯი ჯამში შეადგენს 2 037,9 მლრდ ლარს, ხოლო პანდემიამდე არსებული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული შემცირება შეადგენს 547,0 მლნ ლარს, მათ შორის მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილში მიმდინარე ხარჯები[2] შემცირებულია 199,6 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები[3] შემცირებულია 347,5 მლნ ლარით, კერძოდ შემცირება უწყებების მიხედვით შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:

- საქართველოს პარლამენტის ასიგნებები მცირდება 4,0 მლნ ლარით (პარლამენტის ინიციატივით), მათ შორის მიმდინარე ხარჯები მცირდება 2,5 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები - 1,5 მლნ ლარით;

- პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსება მიმდინარე ხარჯების ნაწილში შემცირებულია 750,0 ათასი ლარით;

- მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება მცირდება 1,0 მლნ ლარით, მათ შორის მიმდინარე ხარჯების ნაწილში 600,0 ათასი ლარით, ხოლო კაპიტალურ ხარჯებში - 400,0 ათასი ლარით;

---

[2] მიმდინარე ხარჯებში გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებული ყველა მუხლი, გარდა კაპიტალური გრანტებისა და სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერებისა, ვინაიდან აღნიშნული მუხლებიდან განხორციებული ტრანსფერები საბოლოო ჯამში წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯებს;

[3] კაპიტალურ ხარჯებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებთან ერთად გათვალისწინებულია კაპიტალური გრანტების და სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერების მუხლები, ვინაიდან აღნიშნული მუხლებიდან განხორციებული ტრანსფერები საბოლოო ჯამში წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯებს.

- აუდიტის სამსახურის ინიციატივით, მათი დაფინანსება მიმდინარე ხარჯების ნაწილში მცირდება 1,0 მლნ ლარით;

- საერთო სასამართლოების ნაწილში კაპიტალური ხარჯები მცირდება 8,0 მლნ ლარით;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კაპიტალური ხარჯები მცირდება 1,0 მლნ ლარით;

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კაპიტალური ხარჯები მცირდება 1,0 მლნ ლარით;

- საპენსიო სააგენტოს მიმდინარე ხარჯები მცირდება 500,0 ათასი ლარით;

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსება მიმდინარე ხარჯების ნაწილში მცირდება 400,0 ათასი ლარით;

- ფინანსთა სამინისტროს ასიგნებები მცირდება 12,0 მლნ ლარით, მათ შორის მიმდინარე ხარჯები 9,8 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები - 2,2 მლნ ლარით;

- ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები (პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის დამატებული 485,0 მლნ ლარის გამოკლებით) მცირდება ჯამში 26,6 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის მიმდინარე ხარჯები შემცირებულია 41,4 მლნ ლარით (ტურიზმის მარკეტინგი ხარჯები მცირდება 9,0 მლნ ლარით, მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამები მცირდება 20,0 მლნ ლარით, ხოლო სხვა პროგრამები 12,4 მლნ ლარით), ხოლო კაპიტალური ხარჯები იზრდება 14,8 მლნ ლარით (ძირითადად ენგურის და ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტის ხარჯზე);

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება შემცირებულია 251,3 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის მიმდინარე ხარჯების ნაწილში 16,7 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯების ნაწილში 234,6 მლნ ლარით. ძირითადი პროგრამების მიხედვით შემცირების მაჩვენებელი შემდეგია:

    - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია მცირდება 117,5 მლნ ლარით;

    - ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მცირდება 44,3 მლნ ლარით;

    - ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია მცირდება 50,4 მლნ ლარით;

    - ✓ სხვა დანარჩენი პროგრამები და პროექტები ჯამში მცირდება 39,1 მლნ ლარით;

- ჯანდაცვის სამინისტრო ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში მცირდება 1,5 მლნ ლარით;

- საგარეო საქმეთა სამინისტროს ასიგნებები მიმდინარე ხარჯების ნაწილში მცირდება 3,0 მლნ ლარით;

- თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები მცირდება 75,0 მლნ ლარით, მათ შორის მიმდინარე ხარჯების ნაწილში 15,0 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯების ნაწილში 60,0 მლნ ლარით;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება მცირდება 10,0 მლნ ლარით, მათ შორის კაპიტალური ხარჯების ნაწილში 9,1 მლნ ლარით, ხოლო მიმდინარე ხარჯების კუთხით 900,0 ათასი ლარით;

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები (პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის დამატებული 139,0 მლნ ლარის გამოკლებით) მცირდება ჯამში 15,1 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის მიმდინარე ხარჯები შემცირებულია 9,9 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები - 5,3 მლნ ლარით;

- განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებები მცირდება ჯამში 127,7 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის მიმდინარე ხარჯების ნაწილში შემცირებულია 89,6 მლნ ლარის, ხოლო კაპიტალური ხარჯების ნაწილში 38,1 მლნ ლარის ოდენობით. ძირითადი პროგრამების მიხედვით მცირდება:

    - ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 20,4 მლნ ლარი;
    - ✓ პროფესიული განათლება - 6,3 მლნ ლარი;
    - ✓ უმაღლესი განათლება - 3,0 მლნ ლარით;
    - ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 3,9 მლნ ლარით;
    - ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 17,6 მლნ ლარით;
    - ✓ კულტურის დაფინანსება - 20,7 მლნ ლარით;
    - ✓ სპორტის დაფინანსება - 53,3 მლნ ლარით;
    - ✓ სხვა დანარჩენი პროგრამები და ხარჯები - 2,5 მლნ ლარით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ასიგნებები მიმდინარე ხარჯების ნაწილში მცირდება 260,0 ათასი ლარით;

- ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დაფინანსება მცირდება 900,0 ათასი ლარით, მათ შორის მიმდინარე ხარჯები 600,0 ათასი ლარით და კაპიტალური ხარჯები 300,0 ათასი ლარით;

- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსება მიმდინარე ხარჯების ნაწილში მცირდება 700,0 ათასი ლარით;

- სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსება, მათივე ინიციატივით მცირდება 1,0 მლნ ლარით, მათ შორის მიმდინარე ხარჯები 110,0 ათასი ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები 890,0 ათასი ლარით;

- კონკურენციის სააგენტოს ასიგნებები მცირდება 270,0 ათასი ლარით, მათ შორის მიმდინარე ხარჯები 220,0 ათასი ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები 50,0 ათასი ლარით;

- სტატისტიკის სამსახურის ასიგნებები მიმდინარე ხარჯების ნაწილში მცირდება 460,0 ათასი ლარით;

- სავაჭრო სამრეწველო პალატის ასიგნებები მცირდება 100,0 ათასი ლარით;

- სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის დაფინანსება მიმდინარე ხარჯების ნაწილში მცირდება 1,0 მლნ ლარით;

- ენის დეპარტამენტის ასიგნებები მცირდება 50,0 ათასი ლარით;
- საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსება მცირდება 250,0 ათასი ლარით;
- ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსება მცირდება 1,5 მლნ ლარით;
- ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ასიგნებები მცირდება 700,0 ათასი ლარით.

რაც შეეხება პანდემიის შედეგად გამოწვეული დამატებითი ხარჯების დაფინანსებას, ჯამური 2 037,9 მლნ ლარი უწყებების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- ჯანდაცვის სამინისტრო - 1 153,5 მლნ ლარი, მათ შორის მიმდინარე ხარჯები 1 068,7 მლნ ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯები 84,8 მლნ ლარი. აღნიშნული დამატებული თანხის გადანაწილება ღონისძიებების მიხედვით შემდეგია;
    - ✓ დაქირავებით დასაქმებულთა დახმარება, რომელთაც დაკარგეს შემოსავალი (200 ლარი 6 თვის განმავლობაში) – 450,0 მლნ ლარი;
    - ✓ თვითდასაქმებულთა 300 ლარიანი დახმარება - 75,0 მლნ ლარი;
    - ✓ მოსახლეობის კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისთვის - 170,0 მლნ ლარი;
    - ✓ 65-დან 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების დახმარება - 48,0 მლნ ლარი;
    - ✓ 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - 13,0 მლნ ლარი;
    - ✓ შშმ პირთა დახმარება - 24,0 მლნ ლარი;
    - ✓ ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მზადყოფნის გაუმჯობესება - 60,0 მლნ ლარი;
    - ✓ ვირუსის გავრცელების პრევენციისა და ჯანდაცვის ხარჯები - 285,0 მლნ ლარი;
    - ✓ დევნილთა სახლების შესყიდვა - 20,0 მლნ ლარი;
    - ✓ მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სოციალური ხარჯები - 5,8 მლნ ლარი;
    - ✓ ვირუსთან ბრძოლაში ჩართული სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების სუბსიდირება - 2,7 მლნ ლარი;
- ეკონომიკის სამინისტრო - 485,0 მლნ ლარი, მათ შორის:
    - ✓ საკრედიტო-საგარანტიო სქემის დასაფინანსებლად - 330,0 მლნ ლარი;
    - ✓ სასტუმროების საპროცენტო ხარჯის სუბსიდირებისთვის - 70,0 მლნ ლარი;
    - ✓ მცირე გრანტების გასაცემად - 20,0 მლნ ლარი;
    - ✓ სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა – 20,0 მლნ ლარი;
    - ✓ საკარანტინო სივრცეებით მომსახურების ანაზღაურებისა და ფრენების სუბსიდირებისთვის - 45,0 მლნ ლარი;

- სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 139,0 მლნ ლარი, მათ შორის:
    - ✓ რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები - 69,0 მლნ ლარი;
    - ✓ ფერმერთა 200 ლარიანი დახმარების პროგრამა - 40,0 მლნ ლარი;
    - ✓ ტექნიკისა და სარწყავი სისტემების თანადაფინანსება - 10,0 მლნ ლარი;
    - ✓ სასურსათო მარაგების შექმნა და ძირითადი სასურსათო პროდუქტების ფასების სუბსიდირება - 20,0 მლნ ლარი.
- საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები - 260,5 მლნ ლარი, მათ შორის:
    - ✓ StopCoV ფონდის ანგარიშზე მობილიზებული თანხა - 133,5 მლნ ლარი, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად მიიმართება ვირუსის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და მისგან დაზარალებულთა დახმარებისათვის;
    - ✓ იმის გათვალისწინებით, რომ ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების საგადასახადო შემოსავლები ჯამში მცირდება 310,0 მლნ ლარამდე, მისი სრულად დაბალანსება მათი ხარჯვითი ნაწილის შემცირების ხარჯზე შეუძლებელია. გამომდინარე აქედან ტრანსფერების ჯამური მაჩვენებელი იზრდება 85,0 მლნ ლარით. აღსანშნავია, რომ თბილისი მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი მცირდება 35,0 მლნ ლარით, ხოლო სხვა დანარჩენი ტრანსფერები ჯამში იზრდება 120,0 მლნ ლარით;
    - ✓ სახელმწიფო ვალების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები ჯამში იზრდება 42,0 მლნ ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**15,923,792.9**
	სამინისტროები	**12,199,412.2**
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	81,000.0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	822,425.0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,820,287.5
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	224,000.0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	5,515,000.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	156,000.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	805,000.0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	760,000.0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	476,860.0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,538,839.7
	სხვა უწყებები	**697,080.7**
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	60,736.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6,250.0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	700.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	15,500.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	15,455.0
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	72,569.7
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,250.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12,000.0
09 00	საერთო სასამართლოები	76,380.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	5,620.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	890.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	680.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	790.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	760.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	650.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	640.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	650.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	880.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	660.0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	136,500.0
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	4,500.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2,550.0
33 00	საქართველოს პროკურატურა	41,300.0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,500.0
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,340.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	6,800.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,400.0
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	57,800.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	7,000.0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	68,700.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,930.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2,460.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,000.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	7,000.0
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10,120.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,250.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,430.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,330.0
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	7,000.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	450.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	250.0
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	3,500.0
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	2,500.0
56 00	**საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები**	**3,027,300.0**
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,360,000.0
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	448,000.0
56 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	10,000.0
56 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	166,000.0
56 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	50,000.0
56 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	20,000.0
56 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	400,000.0
56 08	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	20,000.0
56 09	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	200.0
56 10	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	700.0
56 11	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	200,000.0
56 12	საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	13,000.0
56 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	205,900.0
56 17	StopCoV ფონდი	133,500.0

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

პროექტი სრულად ასახავს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისული გეგმის მიხედვიტ განსაზღვრულ ღონისძიებებს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია კანონის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულ ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგერეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, ასევე ცვლილებების ძირითადი არსი შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც პარამეტრების განსაზღვრის კონსულტაციებში, ასევე ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა